

**ხელშეკრულება**  
**სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N21**

ქ. ბოლნისი

1 მარტი 2018 წელი

ერთის მხრივ ააიპ "ბოლნისის მუნიციპალიტეტის კულტურის საკლუბო, საბიბლიოთეკო და სამუზეუმო გაერთიანება" (ს/კ 225396238) (შემდგომში "შემსყიდველი") მისი დირექტორი თეონა აბრამიშვილი და მეორეს მხრივ შპს „ორიელი“ (404956632) მისი დირექტორის ლიკა ქელიძის (შემდგომში "მიმწოდებელი") „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის მეთოდით აფორმებენ ხელშეკრულებას შემდეგნაირად:

**1. ხელშეკრულების საგანი**

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: 2018 წლის 6 მარტს დედის დღისა და ქალთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავი ღონისძიების („პეზიისა და მუსიკის საღამო“ პოეტ მურმან ჯინორიას, ქართული ესტრადის მომღერალის ლაშა ღლონტისა და ანსამბლ „ალილოს“ 2 წევრის (სანდრო კობახიძე და აჩიკო ბერიძე) მონაწილეობით. ღონისძიების ხანგრძლივობა 120 წუთი) ორგანიზება. კლასიფიკატორის კოდი: 79952100 კულტურული ღონისძიებების ორგანიზება.

**2. ხელშეკრულების ღირებულება**

2.1. ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 4000 (ოთხიათასი) ლარს.

**3. ანგარიშწორების ფორმა და ვადები**

- 3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში.
- 3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ იწარმოებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფაქტიურად, გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.
- 3.3. დაფინანსების წყარო: საკუთარი სახსრები.

**4. მიღება-ჩაბარების წესი**

- 4.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერას განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის კულტურის სფეროს კურატორი ნინო ერისთავი.
- 4.2. მომსახურება გაწეულად ჩაითვლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

**5. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა**

- 5.1. მომსახურების გაწევის დრო: 2018 წლის 6 მარტი, 18<sup>00</sup> საათი;
- 5.2. მომსახურების მიწოდების ადგილი: ქ. ბოლნისი თეატრის საკონცერტო დარბაზი.

**6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

- 6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
- 6.2. შემსყიდველი ვალდებულია:
  - ა) უზრუნველყოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.



6.3. მიწოდებული უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.4. მიწოდებული ვალდებულება:

ა) უზრუნველყოს მომსახურების გაწევა სრული მოცულობითა და იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების მე-5 მუხლში. დაიცვას და განახორციელოს ღონისძიების რეჟისორის მითითებები და რჩევები.

ბ) იმ შემთხვევაში, თუ გაწეული მომსახურება არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი;

### 7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1. ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველი.

7.2. ინსპექტირება გულისხმობს მიწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და გაწეული მომსახურების ხარისხის პროცესის კონტროლს.

7.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### 8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის, ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

### 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა: ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

9.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.5. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 (ხუთი) დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

9.6. ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

### 10. დაუძლეველი ძალა



- 10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
- 10.2. თუ, ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
- 10.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განასლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

### 12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

### 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2018 წლის 1 მაისამდე.

### მხარეთა რეკვიზიტები

“შემსყიდველი” ა(ა)იპ “ზოლნისის მუნიციპალიტეტის კულტურის საკლუბო, საბიბლიოთეკო და სამუზეუმო გაერთიანება” (ს/კ 225396238) ფაქტობრივი/იურიდიული მისამართი: ქ. ზოლნისი, სს. ორბელიანის ქ. №106, ხაზინის ერთიანი ანგარიში, ბ/კ TRESGE22, ა/N GE24 NB0330100200165022 სახაზინო კოდი 74855 7520. ელ/ფოსტა [kulturis.centri@yahoo.com](mailto:kulturis.centri@yahoo.com). ტელ: 0358220064.

“მიმწოდებელი” შ.პ.ს. “ორიელი” ს/კ 404956632. მისამართი: ქ. რუსთავი, მე-8 მკრ. კორ-ნ, ბინა-ნმ ანგარიშის ნომერი: GE25LB0113119384656000. მიმღები ბანკი: სს „ლიბერთი ბანკი“, ბანკის კოდი: LBRTGE22

აიპ “ზოლნისის მუნიციპალიტეტის კულტურის  
საკლუბო, საბიბლიოთეკო და სამუზეუმო  
გაერთიანება”

დირექტორი

თეონა აბრამიშვილი

შპს „ორიელი“

დირექტორი:

ლიკა ჭელიძე

